საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვეძისის სამარხი

ვეძისის სამარხი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამარხი. აღმოჩნდა 1965 თბილისში, საბურთალოს (ახლანდ. ს. ცინცაძის) ქუჩაზე მდებარე სახლის სარდაფში, 1,5 მ სიღრმეზე. გამოვლინდა მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები და სხვადასხვა მოყვანილობის თიხის ცხრა ჭურჭელი. სავარაუდოა, რომ აქ არსებობდა სამაროვანი, რ-იც სახლის მშენებლობის დროს დაზიანდა. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის საცავებში.